პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

ცირკულარობის სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი საქართველოსთვის

სტრატეგიული მიდგომა

დოქტორი დარიუშ პრასეკი

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“

2023 წელი, 13 დეკემბერი

შინაარსი

- რატომ ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევი საქართველოსთვის
- როგორ ხდება ამ გზამკვლევის შემუშავება
- როგორი იქნება ცირკულარული საქართველო 2030/2050 წლისათვის
- გარდაქმნის ძირითადი საყრდენები
  - ცირკულარული ინოვაცია
  - ცირკულარული რეგულაციები
  - ცირკულარული კულტურა



ცირკულარული ეკონომიკა

ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები - 1

- **აკვნიდან აკვნამდე:** ჩამოაყალიბეს ქიმიკოსმა მიშელ ბრაუნგართმა და არქიტექტორმა ბილ მაკდონომ. მათ შექმნეს დიზაინის სკოლა, რომელიც ისეთი ნაწარმის პოპულარიზაციას ახდენს, რომელთა ხმარებიდან ამოღების შემდეგ ნაწილებისა და მასალების აღდგენა მარტივია.

- **ქმედითი ეკონომიკა:** რამდენიმე ათწლეულია, რაც არქიტექტორი და ეკონომისტი უოლტერ სტაჰელი და მისი თანამშრომლები შვეიცარიის „Product Life Institute“-ში ავითარებენ „ქმედითი ეკონომიკის“ ცნებას, რომელიც გვეუბნება, რომ ბაზრისათვის ნაწარმისა და მომსახურების შეთავაზების იდეა უნდა დავივიწყოთ და მის ნაცვლად შევთავაზოთ ფასეულობა საბოლოო მომხმარებლისთვის, რასაც ისინი „ქმედითობას“ უწოდებენ. ამ იდის ერთ-ერთი შედეგია ცირკულარულ ეკონომიკაში ბიზნესმოდელის „ნაწარმი-როგორც-მომსახურება“ სახით შეტანილი წვლილი.

ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები - 2

- **ბიომიმიკრია:** ბიომიმიკრია არის იდეა, რომელიც მეცნიერმა და მწერალმა ჟანინ ბენიუსმა პოპულარულად აქცია. იგი ეფუძნება მოსაზრებას, რომ მრავალი ჩვენი პრობლემის ელეგანტურ ციკლურ გადაწყვეტას ბუნებამ უკვე მიაგნო. ამიტომაც, ჩვენი მიზანია ეს გადაწყვეტები გადავიღოთ, ან ჩვენს პრობლემებს მოვარგოთ. ამ სკოლის იდეები გამოყენებულია ეფექტიანი ტრანსპორტის აეროდინამიკურ დიზაინში, სოკოების მიერ წარმოქმნილი სტრუქტურებით პენოპოლისტეროლის ჩასანაცვლებლად, ასევე პასიური სავენტილაციო სისტემების დიზაინში, რომელიც დაბალი ან ნულოვანი ენერგომოხმარებით ხასიათდება.

- **სამრეწველო ეკოლოგია:** სამრეწველო ეკოლოგია სამრეწველო პროცესების დიზაინისადმი მიდგომაა, რომლის მიზანია მათში შემავალი რესურსების უკეთ გამოყენება, რათა პირველადი რესურსების მოხმარება და დამაბინძურებელი ნარჩენების გარემოში მოხვედრა მინიმუმამდე შემცირდეს. სხვა საკითხებთან ერთად, ამ სკოლამ ცირკულარულ ეკონომიკაში წვლილი „სამრეწველო სიმბიოზის“ კონცეფციით შეიტანა.

ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები - 3

- **აღდგენითი დიზაინი:** აღდგენითი დიზაინი წარმოადგენს აკადემიური კვლევის სფეროს, რომელიც ფოკუსირებულია ლანდშაფტის მასშტაბზე და ცდილობს მოიძიოს მეთოდები, რომლებიც ადამიანთა თანასაზოგადოებების ეკონომიკურ საქმიანობას აღდგენით ხასიათს მისცემს და ლანდშაფტის დეგრადაციას არ გამოიწვევს.

- **ლურჯი ეკონომიკა:** ეკონომისტმა და მეწარმემ გიუნტერ პაულიმ ლურჯი ეკონომიკა უწოდა ინოვაციურ ბიზნესმოდელებს, რომლებიც მან და მისმა თანამშრომლებმა შეისწავლეს და ავითარებენ **„ნულოვანი ემისიების კვლევისა და ინიციატივების ქსელის“** ფარგლებში. ამ ქსელის მიერ შემოთავაზებული მოდელები ღირებულების შექმნის გზებისა და შემოსავლის წყაროების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ლურჯი ეკონომიკური მოდელები ზრდის ხარჯზე კი არ ვითარდება, არამედ საკუთარი ფუნქციების გამრავალფეროვნებისა და დახვეწის გზით, რაც მათ მდგრადობას ზრდის.

ცირკულარული ეკონომიკის ძირითადი კონცეფციები - 4

- **ნარჩენებისა და დაბინძურების გამორიცხვა დიზაინით:** ცირკულარული ეკონომიკისთვის ნარჩენები დიზაინში დაშვებული შეცდომაა. ამიტომ უმჯობესია, მათი წარმოქმნა ამ ეტაპზევე ავიცილოთ თავიდან, რათა წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ხარჯების გაღება არ დაგვჭირდეს. ეს პრინციპი ეხება ნარჩენების მართვის იერარქიას, რომლის მიხედვითაც შემცირება ხელახალ გამოყენებაზე უკეთესია, ხელახალი გამოყენება გადამუშავებას ჯობს, ხოლო გადამუშავება გადაგდებას.

- **საქონლისა და მასალებს სარგებლობაში შენარჩუნება:** რესურსების ეკონომიკაში მოხვედრის შემდეგ ძალისხმევა უნდა მოხმარდეს მათი ღირებულების შემცირების ან სრულად დაკარგვის თავიან აცილებას, რასაც ადგილი აქვს ხოლმე, როდესაც მონარჩენები იყრება და ნარჩენებად გადაიქცევა. იდეალური იქნება ნედლეულის, ენერგიისა და ყველა იმ რესურსის შენარჩუნების გზების მოძიება, რომლებიც წარმოდგენილია როგორც ჩვენი ეკონომიკის ნაწარმსა და ინფრასტრუქტურაში, ასევე ჩვენი ტერიტორიების ეკოსისტემებში.

- **ბუნებრივი სისტემების აღდგენა:** ცირკულარული ეკონომიკა ამბობს, რომ კონსერვაციის მიდგომის ჩარჩოს უნდა გავცდეთ. ეკონომიკური სისტემა აქტიურად უნდა ცდილობდეს ბუნებრივი კაპიტალისა და ბიომრავალფეროვნების აღდგენას.

რატომ ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევი საქართველოსთვის



მნიშვნელოვანი

პრობლემები ნარჩენების

მართვაში



დილემის გადალახვა

ეკონომიკურ
განვითარებასა და

გარემოს დაცვას
შორის

გრძელვადიანი ხედვა

საერთო გზა

რა არის ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევი

- გზამკვლევი წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმას, რომელიც გრძელვადიან ხედვასა და მის მისაღწევად საჭირო ძირითად ინიციატივებს განსაზღვრავს.
- გზამკვლევი ზოგადი ხასიათის დოკუმენტია, რომელიც საკომუნიკაციო ინსტრუმენტად გამოიყენება და საერთო გამოწვევებთან და მათი გადაჭრის გეგმებთან დაკავშირებით შეხედულებების ნათლად ჩამოყალიბებაში გვეხმარება.
- ცირკულარული ეკონომიკის პირველი გზამკვლევი ფინეთის ინოვაციების ფონდმა SITRA-მ, 2016 წელს გამოაქვეყნა. მას შემდეგ ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევები გამოაქვეყნეს სხვა ქვეყნებმაც, მათ შორის საფრანგეთმა, სლოვენიამ, ნიდერლანდებმა, ჩილემ და ზოგიერთმა ქვეეროვნულმა ტერიტორიამ, მაგ., ქალაქმა ამსტერდამმა.

როგორ ხდება გზამკვლევის შემუშავება

გზამკვლევის საფუძველს ქმნის:

- ევროკავშირის ცირკულარული ეკონომიკის ახალ, 2020 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც **ევროპული მწვანე შეთანხმების** ძირეული ნაწილია
- მგვ-ს თაობაზე საქართველოს ვალდებულება
- ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასების 2022 წლის ანგარიში
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობა
- თემატურ ჯგუფებს შორის მჭიდრო ურთიერთქმედება
- საკვანძო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები

აღდგენითი ხასიათის ცირკულარული ეკონომიკა 2050 წლისთვის საქართველოს მდგრადი, სამართლიანი და მონაწილეობითი განვითარების გზაზე გაიყვანს, რის შუაგულშიც ხალხი იქნება.

- ცირკულარული ეკონომიკა დამკვიდრდა ქვეყნის კულტურაში და საზოგადოების ყველა დონეზე მდგრადი წარმოებისა და მოხმარების მოდელები ყალიბდება.
- ცირკულარული მეთოდები აღადგენს ბუნებას, რითაც ადამიანების ყოფაზე და გარემოზე დადებითად და მდგრადად ზემოქმედებს.
- ცირკულარული ეკონომიკის ინოვაციური პოტენციალი სრულადაა ათვისებული, რაც წარმოების უფრო ეფექტიანი და მდგრადი სისტემების შემუშავებისა და დანერგვის კუთხით მოსახლეობაში შემოქმედითობას აღვივებს.
- ცირკულარულმა ეკონომიკამ ქვეყნის ყველა რეგიონში შეაღწია, სადაც ხელს უწყობს მდგრად ადგილობრივ განვითარებას, რომელიც თითოეული ტერიტორიული ერთეულის ხედვებსა და სპეციალიზაციასთან არის თავსებადი.
- ცირკულარული ეკონომიკა შესაძლებლობების უხვ წყაროდ იქცა, რაც სამართლიანი გარდაქმნის შესაძლებლობას იძლევა.

ქვეყანა, სადაც არაფერი იფლანგება

და ყველაფერი

სიცოცხლეზე ზრუნვის მიზნით

გარდაიქმნება

ხედვა, სტრატეგიული მიზნები და სამიზნეები ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისათვის

<u>სტრატეგიული მიზნები:</u>

- სტრატეგიული მიზანია ცირკულარული ეკონომიკის სფეროში რეგიონის ლიდერად ქცევა და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება.
- რეგულაციების სრულყოფა, ცნობიერების ამაღლება და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ურთიერთქმედებისათვის განკუთვნილი პლატფორმების შექმნა ხელსაყრელი გარემოს ჩამოსაყალიბებლად.

<u>სამიზნეები:</u>

- მომდევნო 5/10 წლიანი პერიოდის სამიზნეა ცირკულარობის დონე არსებული 1.3%-დან 6.6%-მდე გაზრდა.
- მომდევნო 5/10 წლიანი პერიოდის მეორე სამიზნეა ეკონომიკის ცირკულარულ მოდელებზე ეფექტიანი გადასვლისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება.

გზამკვლევი: გზა ცირკულარობის დონის შეფასებიდან ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიამდე

- გზამკვლევი ცირკულარობის დონის შეფასებიდან ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავებამდე მიმავალ გზას წარმოადგენს
- გზამკვლევი განსაზღვრავს ცირკულარული ეკონომიკის განვითარებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებს
- გზამკვლევში მოცემული იქნება ცირკულარობის სტრატეგიისა და ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები
- გზამკვლევში განსაზღვრული იქნება მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სამიზნეები და რეკომენდაციები ამ სამიზნეების შესაბამისად დალაგდება

გარდაქმნის ძირითადი საყრდენები

- ცირკულარული ინოვაცია
- ცირკულარული რეგულაციები
- ცირკულარული კულტურა



ცირკულარული ინოვაცია

- ნულოვანი ნარჩენების მქონე კომპანიები.
- ცირკულარული მოდელების პოპულარიზაცია.
- კვლევა და განვითარება ცირკულარული ეკონომიკისთვის.
- სტრატეგიული თანამშრომლობა მაღალი ზემოქმედების მქონე ცირკულარული ეკონომიკური გადაწყვეტილებებისთვის.
- მაღალი პოტენციალის მქონე ცირკულარული გადაწყვეტილებების ტირაჟირება.
- საქონლისა და მომსახურების გარემოზე ლოკალური ზემოქმედების მოდელირების საინფორმაციო სისტემები.
- ცირკულარული ეკონომიკის ტექნიკური სტანდარტები.
- ცირკულარული სახელმწიფო შესყიდვა.

ცირკულარული რეგულაციები

- მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხის განვრცობა.

- ნარჩენების მართვის მარეგულირებელი ჩარჩოს განახლება ხელახალი გამოყენებისა და აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.

- ნარჩენების წყაროსთან სეპარაციის წახალისება და ამ საკითზე ინფორმირება.

- პროდუქტის სტანდარტები ცირკულარულ ეკონომიკაში.

- ნარჩენების არასათანადოდ განთავსების ინსპექტირების გაძლიერება.

- ცირკულარული ეკონომიკის ამოქმედება საერთაშორისო დონეზე - საქართველოს წვლილი ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო და რეგიონულ ინიციატივებში.

ცირკულარული კულტურა

- ცირკულარული ჩვევებისა და მეთოდების გავრცელება.
- ცირკულარული ეკონომიკა საგანმანათლებლო საზოგადოებაში.

- უნარები ცირკულარული ეკონომიკის სფეროში.

- ეკომარკირების სისტემა საქართველოსთვის.
- გამჭვირვალობა და მიკვლევადობა ცირკულარული ეკონომიკისთვის.

- ცირკულარული ეკონომიკისკენ წინსვლის მონიტორინგი.

საქართველო 2050

გმადლობთ!

საკონტაქტო ინფორმაცია:

დოქტორი დარიუშ პრასეკი

deprasek@gmail.com

orchisge@yahoo.com

პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF)

„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“